სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/194

ქ. თბილისი

28 ნოემბერი 2023 წ.

„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 08 დეკემბრის №01-05-04/181 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსის 2023 წლის 24 ნოემბრის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის №01-05-02/29 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 08 დეკემბრის №01-05-04/181 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) წესის 22-ე მუხლის 21-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„21. თუ პროფესიული სტუდენტი შეფასებაზე ან გამოცდაზე ვერ გამოცხადდა ავადმყოფობის ან სხვა საპატიო მიზეზით, მას უფლება აქვს შეფასების/გამოცდის აღდგენის თაობაზე

წერილობითი განცხადებით მიმართოს რექტორს აღნიშნული მიზეზის აღმოფხვრიდან არაუგვიანეს 15 დღისა. სტუდენტი ვალდებულია შეფასების/გამოცდის აღდგენის შესახებ განცხადებას დაურთოს საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები. შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი არაუგვიანეს 3 დღის ვადაში უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის დაშვებას დამატებით მიმდინარე/შუალედურ შეფასებაზე.“.

ბ) წესს დაემატოს 23[1]-ე მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 23[1]. სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრება

1. პროფესიული სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სწავლის შედეგების ან გამოცდის შეფასებას უფლებამოსილია, შეფასების შედეგის გაცნობიდან სამი სამუშაო დღის ვადაში, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა.
2. საჩივარს არა უგვიანეს 2 დღის ვადაში განიხილავს და შესაბამის დასკვნას შეიმუშავებს დეკანის ბრძანებით შექმნილი დარგობრივი კომისია, რომელშიც შედის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და დარგის სპეციალისტი. კომისიის დასკვნის საფუძველზე დეკანი იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას.
3. დეკანის გადაწყვეტილება შეიძლება იყოს შემდეგი სახის:
ა) მოთხოვნილი შეფასების დადასტურება;
ბ) განმეორებითი შეფასება იგივე პირობებში;
გ) განმეორებითი შეფასება საკომისიო წესით;
დ) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი.
4. მიღებული გადაწყვეტილება 2 სამუშაო დღის ვადაში ეცნობება პროფესიულ სტუდენტს. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. იმ შემთხვევაში, თუ საკითხის განხილვისას გამოიკვეთა „სტუ-ს ეთიკის კოდექსითა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმებით“ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ნიშნები, საკითხი შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამის დისციპლინარული წარმოების განმახორციელებელ ორგანოს.“.

გ) 31-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„7. პროფესიულ სტუდენტს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან ამ წესის 25-ე მუხლის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა გაიარა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე, ეძლევა სათანადო ცნობა მიღწეული სწავლის შედეგების თაობაზე (დანართი №6).“.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

ცნობა

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების თაობაზე

1. სტუდენტის სახელი, გვარი (პირადი №)----------

2. ჩარიცხვის შესახებ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების რეკვიზიტები:

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „------"

4. პროგრამის ხანგრძლივობა -- კვირა, კრედიტი „------"

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გავლილი იქნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე. (ეს პუნქტი ემატება მხოლოდ საჭირო შემთხვევაში).

6. სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე მიღებული ორგანოს დასახელება, გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი (დღე, თვე, წელი).

7. პროგრამით განსაზღვრული მოდულების ფარგლებში შეიძინა დანართში მოცემული პროფესიული უნარ-ჩვევები.

უნივერსიტეტის რექტორი: ხელმოწერა

დანართი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების და მიღწეული სწავლის შედეგების ამსახველი დოკუმენტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	
პროგრამის ხანგრძლივობა	
პროგრამის დაწყების თარიღი	პროგრამის დასრულების თარიღი

განვლილი მოდულები

	სახელწოდება	კოდი	მოდულის ხანგრძლივობა	დაწყების და დასრულების თარიღი	სწავლების ფორმა	დაძლევის დონე	მიღწეული სწავლის შედეგები
1					☐ თეორიული ☐ პრაქტიკული	☐სრულად ☐ არასრულად	
2							
3							
5							
6							
7							

8							
9							
10							
11							
12							
13							
14							
15							
16							
17							
18							

- სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი (დღე, თვე, წელი)
- ინფორმაცია გადაწყვეტილების მიმღების თაობაზე

შენიშვნა: ცხრილში დაამატეთ ან წაშალეთ ხაზები მიღწეული სწავლის შედეგების რაოდენობის გათვალისწინებით.